კოდიფიცირებული (ცვლილებებით)

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 82
ელ. ფოსტა: warmomadgenlobiti

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 02

ქ. ბათუმი 20 აპრილი, 2011 წ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის -- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, რსუ–ს წესდების მე–10 მუხლის, რსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2011 წლის 19 აპრილის №01-11/31 ბრძანების საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა

1. დამტკიცდეს თანდართული ,,2011–2012 სასწავლო წლიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესი“ (**დანართი №1**).
2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2011–2012 სასწავლო წლიდან;
3. 2011–2012 სასწავლო წლის დაწყებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს რსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 1 ოქტომბრის №2 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესი“.
4. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს რსუ-ს ვებ-გვერდზე, ფაკულტეტების დეკანატებთან განთავსებულ საინფორმაციო დაფებზე და გაზეთში ,,ბათუმის უნივერსიტეტი“;
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52) ;

წარმომაგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი **კახაბერ ქაშიბაძე**

დანართი 1

„2011-2012 სასწავლო წლიდან რსუ–ს სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესი

მუხლი 1. სწავლის საფასური

1. სწავლის საფასური არის რსუ-ს მიერ დადგენილი გადასახდელი, რომელსაც სტუდენტი (ან მისი წარმომადგენელი) იხდის რსუ-ს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლისათვის.

მუხლი 2. სწავლის საფასურის გადახდის საფუძველი და ფორმა

1. სწავლის საფასურის გადახდის საფუძველია რსუ-ს სტუდენტის სტატუსის მოპოვება.
2. სტუდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში აისახება, რომ რსუ-ს სტუდენტის ფინანსური ვალდებულებები განისაზღვრება ამ წესის შესაბამისად.
3. რსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისთანვე წყდება ხელშეკრულება, ხოლო რსუ-ს სტუდენტის სტატუსის კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელახლა მოპოვების შემთხვევაში მხარეებს შორის ფორმდება ახალი ხელშეკრულება.
4. სწავლის საფასურს იხდის სტუდენტი (ან მისი წარმომადგენელი), ხოლო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სტუდენტის სწავლის საფასურს აანაზღაურებს დადგენილი წესის შესაბამისად სტუდენტის მიერ მოპოვებული სასწავლო გრანტის/სამაგისტრო გრანტის პროცენტული ოდენობის მიხედვით.
5. სწავლის საფასურის გადახდა (ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა) როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარისწორების ფორმით შესაძლებელია რსუ-ს მომსახურე საბანკო დაწესებულებაში.

მუხლი 3. სტუდენტის ფინანსური ვალდებულებები და სწავლის საფასურის გადახდის ვადები

1. სტუდენტი ვალდებულია გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია ყოველ სასწავლო სემესტრში, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილ დროში და ოდენობით.
(შეტანილია ცვლილება წარმომად.საბჭ. 2014 წლის 10 ივნისის №6 გადაწყვეტილებით)

2. დოქტორანტი, როგორც სტუდენტი გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას ამ წესით დადგენილ ვადებში: სასწავლო კომპონენტის - არანაკლებ 60 კრედიტის საფასურს იხდის პირველ სასწავლო წელს, სამეცნიერო ხელმძღვანელისა და ადმინისტრაციული ხარჯის გადახდის ვალდებულება თანაბრად ნაწილდება დოქტორანტის მომდევნო ორი სასწავლო წლის განმავლობაში. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულებისათვის საჭირო სახსრების მოძიება ხორციელდება დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის ან თავად დოქტორანტის მიერ. დოქტორანტურის სტუდენტის ფინანსური ვალდებულება აისახება ამ დოქტორანტის, მისი სამეცნიერო ხელმძღვანელისა და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილ ხარჯთაღრიცხვაში. დოქტორანტის სწავლის დაფინანსება შეიძლება განხორციელდეს სახელმწიფო გრანტის, საუნივერსიტეტო დაფინანსების, სტიპენდიების, შემოწირულობის ან თვითდაფინანსების გზით.
(შეტანილია ცვლილება წარმომად.საბჭ. 2014 წლის 10 ივნისის №6 გადაწყვეტილებით)
3. სასწავლო სემესტრის დაწყებისა და დასრულების პერიოდი განისაზღვრება რსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით, რომელიც ქვეყნდება რსუ–ს ვებ–გვედზე (www.bsu.edu.ge.).
4. პირადი განცხადების საფუძველზე რსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მაგრამ არაუგვიანეს სწავლის დაწყებიდან 45 დღისა, სტუდენტს დაუბრუნდება წინასწარ გადახდილი სწავლის საფასური, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი სწავლის დაწყებიდან 45 დღის ვადაში სტუდენტს არ ექნება გადახდილი სწავლის საფასური და ამავე ვადაში მოითხოვს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას, არ დაეკისრება ამ სემესტრის სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულება (თუკი

ბუღალტრული აღრიცხვის მიზნით ,,დარიცხული“ ექნება, მაშინ მოხდება კორექტირება – მოეხსნება). **(შეტანილია ცვლილება წარმომად.საბჭ. 2012 წლის 26 სექტემბრის №2 გადაწყვეტილებით)**

5. სტუდენტი, რომელსაც რსუ-ს სტუდენტის სტატუსი შეჩერებული აქვს ფინანსური დავალიანების გამო და მოითხოვს სტატუსის შეწყვეტას, ვალდებულია გადაიხადოს მასზე დარიცხული ფინანსური დავალიანება იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მას სტატუსის შეჩერების გამო არ მიეცა შესაბამის სემესტრში გამოცდების ჩაბარების შესაძლებლობა ან/და მისგან გამოწვეული მიზეზით არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სწავლასთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ მუხლის მე–4 პუნქტის მოთხოვნები.

6. რსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტისას, გასულ პერიოდში გადახდილი სწავლის საფასური სტუდენტს უკან არ დაუბრუნდება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას წინასწარ ჰქონდა გადახდილი მომდევნო სასწავლო წლის/სემესტრის სწავლის საფასური.

7. სტუდენტს გადახდილი სწავლის საფასური არ უბრუნდება ასევე აკადემიური შვებულების აღების (სტუდენტის სტატუსის შეჩერების) შემთხვევაში, თუმცაღა ჩაეთვლება გადახდილად შვებულებიდან დაბრუნების შემდგომ პერიოდში.

8. სტუდენტს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებში უნარჩუნდება ხელშეკრულებით დადგენილი საფასურის ოდენობა, ხოლო აღდგენის წესით ჩარიცხვის და სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლების აღმოფხვრის შემთხვევაში სტუდენტი იხდის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიმდინარე სასწავლო წლისათვის დადგენილ სწავლის საფასურს.

9. რსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ რსუ-ს აქტის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადის გასვლის შემდეგ პერიოდში ძალადაკარგულად ცნობის შემთხვევაში სტუდენტს ამავე აქტით, განესაზღვრება ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს **7 დღეს.**

10. ფინანსური დავალიანების გამო სტატუსშეჩერებული სტუდენტის უფლებებში აღდგენა (სტუდენტის სტატუსის შეჩერების აქტის ძალადაკარგულად ცნობა) დასაშვებია მობილობის პერიოდში (მხოლოდ ფინანსური დავალიანების დაფარვის შემდეგ). **(შეტანილია ცვლილება რსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 31 იანვრის №8 გადაწყვეტილებით).**

11. იმ მაგისტრანტების/დოქტორანტების ნაწილში, რომელთაც ფინანსური დავალიანების გამო შეუჩერდათ რსუ-ს სტუდენტის სტატუსი და აკადემიური დავალიანების სახით შესასრულებლად დარჩენილი აქვთ მხოლოდ ,,სამაგისტრო ნაშრომი“ /სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი, დასაშვებია რსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად ცნობა ამ წესით განსაზღვრული შეზღუდვების გარეშე.

მუხლი 4. სწავლის საფასურის გადაუხდელობის შედეგები
(შეტანილია ცვლილება წარმომად.საბჭ. 2012 წლის 7 სექტემბრის #6 გადაწყვეტილებით)

1. სტუდენტი, თუკი შესაბამის სემესტრში, რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში, არ გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას - არ გადაიხდის სწავლის სემესტრულ საფასურს, ადმინისტრაციული რეგისტრაციის დასრულებიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღის ვადაში, შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი. **(შეტანილია ცვლილება წარმომად.საბჭ. 2015 წლის 12 იანვრის #6 გადაწყვეტილებით)**

2. ყოველ სასწავლო წლის დასაწყისში ბსუ–ს რექტორის ბრძანებით დგინდება ადმინისტრაციული რეგისტრაციის პერიოდი ამასთან, შესაძლებელია განისაზღვროს წლიური გადასახადის 6 ეტაპად გადახდის შესაძლებლობაც. **(შეტანილია ცვლილება წარმომად.საბჭ. 2014 წლის 10 ივნისის #6 გადაწყვეტილებით)**
3. დადგენილ ვადებში ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის გარეშე სტუდენტის სასწავლო პროცესში თვითნებური მონაწილეობა არ წარმოშობს მის უფლებას მოითხოვოს ადმინისტრაციული რეგისტრაციის დამატებით გავლა ან/და მიღებული მომსახურების (შეფასებების) აღიარება.
4. ფინანსური დავალიანების გამო რსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის გასვლის შემდეგ ან იმ შემთხვევაში, თუკი სტუდენტი უარს აცხადებს დარიცხული სწავლის საფასურის გადახდაზე, შესაძლებელია მას შეუწყდეს რსუ-ს სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 5. სწავლის საფასური სასწავლო კურსის განმეორებით ან დამატებით გავლისათვის

1. სტუდენტის მიერ, მისივე გამოწვეული მიზეზით საგნის (კრედიტების) განმეორებით ათვისების საჭიროების შემთხვევაში, იმის მიხედვით, თუ რომელი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტია და რას შეადგენს მისი სწავლის ღირებულება (ტარიფი), სწავლის საფასურის გადახდა ადმინისტრაციული რეგისტრაციის პერიოდში ხორციელდება ასათვისებელი კრედიტების რაოდენობის შესაბამისად.

1.1. აკადემიურად დავალიანებული სტუდენტი მოომდევნო სემესტრში სწავლის საფასურს გადაიხდის არა სემესტრული (წლიური საფასურის 50%) ოდენობით, არამედ აკადემიურად დარეგისტრირებული კრედიტების შესაბამისი ოდენობით, იმის გათვალისწინებით, რომ სასწავლო პროგრამების განხორციელების წესის შესაბამისად, სტუდენტს უფლება არა აქვს მიმდინარე სემესტრში დაარეგისტრიროს სასწავლო კურსი/მოდული, თუკი მისი შესწავლის წინაპირობაა კურსი/მოდული, რომელშიც ექნება უარყოფითი „(F) ჩაიჭრა“ შეფასება. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული რეგისტრაციის საფუძველი იქნება ადმინისტრაციული რეგისტრაციის პერიოდში წარმოდგენილი სტუდენტის განცხადების საფუძველზე გამოცემული რსუ-ს რექტორის ბრძანება”. **(შეტანილია დამატება რსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 31 იანვრის №8 გადაწყვეტილებით).**

1.2. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის მე-4 სემესტრის სტუდენტი, რომელსაც აქვს აკადემიური დავალიანება სასწავლო კომპონენტის სახით, მიმდინარე სემესტრში არეგისტრირებს მხოლოდ ამ კრედიტებს და შესაბამისად სწავლის საფასურს იხდის დარეგისტრირებული კრედიტების შესაბამისად და არა მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასურს. **(შეტანილია დამატება რსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 31 იანვრის №8 გადაწყვეტილებით).**

2. ამ მუხლით დადგენილი წესი ვრცელდება ასევე იმ შემთხვევაზე, როცა პირი მიმდინარე სასწავლო წლის პროგრამით გათვალისწინებულისაგან დამატებით არეგისტრირებს ასათვისებელ კრედიტებს.

,,მუხლი 6. გაცვლითი სასწავლო პროგრამის (პროექტის) მონაწილე ბსუ-ს სტუდენტებისათვის განსაზღვრული ფინანსური ვალდებულებები (შეტანილია ცვლილება წარმომად.საბჭ. 2014 წლის 10 ივნისის #6 გადაწყვეტილებით)

1. გაცვლითი სასწავლო პროგრამის (პროექტის) მონაწილე ბსუ-ს სტუდენტს (მათ შორის დოქტორანტს) მობილობის პერიოდში უჩერდება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი. უცხო ქვეყანაში სწავლების პერიოდის დასრულების, საქართველოში დაბრუნების, უცხოეთში ათვისებული კრედიტების ბსუ-ს შესაბამის პროგრამასთან თავსებადობის დასკვნის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დასკვნის საფუძველზე გამოიცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანება სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ, რაც გამორიცხავს აღიარებული კრედიტების საფასურის დარიცხვასა და გადახდევინებას.
2. წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა სტუდენტი ვალდებულია გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია და გადაიხადოს მიმდინარე სემესტრში ასათვისებელი კრედიტების საფასური ამ წესით განსაზღვრულ ეტაპებითა და ვადების მიხედვით.
3. ბსუ–ს საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლებლად დაბრუნების შემდეგ შედგენილი ,,პროგრამების თავსებადობის დასკვნის“ მიხედვით განსხვავებული საგნების (კრედიტების) ათვისების საჭიროებისას, სტუდენტი იხდის ამ კრედიტების საფასურს.
4. ამ მუხლით განსაზღვრული ფინანსური ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სტუდენტზე გავრცელდება ამ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები.

მუხლი 7. შეღავათები სწავლის საფასურში

1. რსუ-ში სწავლის საფასურის გადახდისაგან, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ვადით, თავისუფლდებიან მშობლების მზრუნველობას მოკლებული სტუდენტები (დედ-მამით ობოლი ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად/გარდაცვლილად აღიარებული მშობლების შვილები). **(შეტანილია ცვლილება წარმომად.საბჭ. 2012 წლის 7 სექტემბრის #6 გადაწყვეტილებით)**

2. რსუ-ში სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათები გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა, შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ სპეციალური სოციალური პროგრამის ფარგლებში, სწავლის შედეგების მიხედვით იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების წევრები.

3. სპეციალურ სოციალურ პროგრამას (შეღავათების სახეებს, პირობებს, სტუდენტთა კატეგორიასა და შეღავათების განხორციელების წესს), შეიმუშავებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობითი საბჭოს.

4. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გამოსცემს ბრძანებას სტუდენტისათვის სწავლის საფასურის გადახდისას შეღავათის მინიჭების შესახებ.

მუხლი 8. გარდამავალი დებულებები

1. სტუდენტს, რომელსაც რსუ-ს მიმართ გააჩნია ფინანსური დავალიანება, მაგრამ უკვე მინიჭებული აქვს აკადემიური ხარისხი (კვალიფიკაცია) ან გავლილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამა, მიეცემა დიპლომი ან ცნობა საგანმანათლებლო პროგრამის მოსმენის შესახებ, ასევე მის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაცია იმ შემთხვევაში, თუკი განაცხადებს თანხმობას ფინანსური ვალდებულების შესრულებისათვის. აღნიშნული შეთანხმება სტუდენტსა და ადმინისტრაციას შორის

ფორმდება წერილობით. **(შეტანილია ცვლილება წარმომად.საბჭ. 2012 წლის 7 სექტემბრის #6 გადაწყვეტილებით)**

2. სტუდენტი, რომელიც სარგებლობს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის უფლებით ან არის რუს-ს სტუდენტის სტატუსშეჩერებული/სტატუსშეწყვეტილი პირი, რომელიც უარს აცხადებს მასზე რიცხული ფინანსური ვალდებულების შესრულებაზე, უფლებამოსილია მიიღოს ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული დოკუმენტაცია. ასეთ შემთხვევაში უნივერსიტეტი ამ პირის მიმართ სარჩელს აღძრავს სასამართლოში. **(შეტანილია ცვლილება წარმომად.საბჭ. 2012 წლის 7 სექტემბრის #6 გადაწყვეტილებით)**

3. იმ პირებზე, რომელთაც 2010-2011 სასწავლო წლის დაწყებამდე მოიპოვეს რსუ-ს დოქტორანტის სტატუსი ფინანსური ვალდებულებების ადმინისტრირებისას ვრცელდება 2009 წლის 25 სექტემბრის №02 გადაწყვეტილებით დადგენილი წესი.

4. 2010–2011 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ფინანსური დავალიანების გამო სტატუსშეჩერებულ პირებს, რომლებსაც 2011 წლის გაზაფხულის სემესტრში აღდგენის შემდეგ ამავე სემესტრში კვლავ შეუჩერდათ სტუდენტის სტატუსი, მობილობის წესით აღდგენის შემთხვევაში (ფინანსური ვალდებულების შესრულებისას) არ დაერიცხებათ დამატებით 2010–2011 სასწავლო წელს ასათვისებელი კრედიტების საფასური.

5. 2010–2011 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში რსუ–ში ფინანსური დავალიანების გამო სტატუსშეჩერებულ პირებს, მობილობის წესით აღდგენის შემთხვევაში (ფინანსური ვალდებულების შესრულებისას) არ დაერიცხებათ დამატებით, 2010–2011 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ასათვისებელი კრედიტების საფასური“. **(შეტანილია ცვლილება რსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 22 ივლისის №2 გადაწყვეტილებით).**

6. 2010–2011 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ფინანსური დავალიანების გამო რსუ–ს სტუდენტის სტატუსშეჩერებული პირის აღდგენისას სტუდენტს, თავისი ნების შესაბამისად (რაც დადასტურდება მის მიერ წარმოდგენილი განცხადებით), უნარჩუნდება სტატუსის შეჩერებამდე, იმავე სემესტრში მიღებული შეფასებები და იგი დამატებითი **ადმინისტრაციული რეგისტრაციის გასვლის გარეშე** უფლებამოსილია ისარგებლოს რსუ–ს აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილ ვადებში საბოლოო გამოცდაზე გასვლის უფლებით. წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია, რა შემთხვევაშიც მხედველობაში არ მიიღება სტატუსის შეჩერებამდე (წინა სემესტრში) ასათვისებელ (დავალიანებულ) საგნებში მიღებული შეფასებები. **(შეტანილია დამატება რსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 22 ივლისის №2 გადაწყვეტილებით).**

7. ამ მუხლის მე–4–6 პუნქტებით დადგენილი უფლებებით რსუ–ს სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს 2011–2012 და 2012–2013 სასწავლო წლებში, ხოლო იმ სტუდენტს, რომელსაც 2012–2013 სასწავლო წლამდე ამოეწურება საგანმანათლებლო პროგრამის ოპტიმალური ვადა, დამატებით მიეცემა მხოლოდ ერთი სასწავლო სემესტრი 2010–2011 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ასათვისებელი კრედიტების ათვისებისათვის. **(შეტანილია დამატება რსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 22 ივლისის №2 გადაწყვეტილებით)**

8. 2011-2012 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ფინანსური დავალიანების გამო სტატუსშეჩერებულ პირთა მიმართ რსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე სამართლებრივი აქტის მისი გამოცემის დღიდანვე ძალადაკარგულად ცნობა დასაშვებია ამ პირთა მიერ არაუგვიანეს 2011 წლის 1 ოქტომბრის ჩათვლით ფინანსური ვალდებულების შესრულების შემდეგ (წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი განცხადება და გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი). **(შეტანილია დამატება რსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 29 სექტემბრის №3 გადაწყვეტილებით).**

9. 2011-2012 სასწავლო წლამდე ფინანსური დავალიანების მქონე სტატუსშეჩერებულ პირთა აღდგენა (რსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე სამართლებრივი აქტის

ძალადაკარგულად ცნობა) დასაშვებია იმ პერიოდიდან (სასწავლო სემესტრიდან), რომელზეც მას შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი ან მობილობის პერიოდში. სტუდენტის არჩევანი განისაზღვრება მისივე განცხადებით, მას შემდეგ, როცა შესაბამისი დეკანატიდან მიიღებს განმარტებას რსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირების თაობაზე. **(შეტანილია დამატება რსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 31 იანვრის № 8 გადაწყვეტილებით).**

10. იმ სტუდენტებს, რომლებიც არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსაგან დაფინანსების მიღების მოლოდინში, რის დასტურადაც ბსუ-ს წარმოუდგენენ შესაბამის მტკიცებულებას (ცნობას, საფოსტო გზავნილის ქვითარს და სხვა) ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო არ შეუჩერდეთ სტუდენტის სტატუსი ამ უწყებების მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 7 დღის ვადაში.

11. ბსუ–ს რექტორის ბრძანებით შესაძლებელია განსაზღვრული იქნეს 2013–2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ადმინისტრაციული რეგისტრაციისა და სტუდენტის სტატუსის შეჩერების ამ წესისაგან განსხვავებული ვადები. **(შეტანილია ცვლილება წარმომად.საბჭ. 2013 წლის13 სექტემბრის #4 გადაწყვეტილებით)**

12. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის პირველი სასწავლო წლის იმ სტუდენტების მიმართ, რომლებიც არიან სასწავლო სამაგისტრო გრანტის მიღების კანდიდატები, 2012–2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო სტუდენტის სტატუსის შეჩერების აქტი გამოიცეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

(ამოღებულია წარმომად.საბჭ. 2013 წლის13 სექტემბრის № 4 გადაწყვეტილებით)

,,13. 2013-14 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის სწავლის საფასურის 1/3-ის (მე-3 ეტაპის) 2014 წლის 11 ივნისის მდგომარეობით გადაუხდელობის გამო ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბსუ-ს რექტორის სამართლებრივი აქტი გამოსცეს 2014 წლის 12 ივნისს.“

(შეტანილია ცვლილება წარმომად.საბჭ. 2014 წლის 10 ივნისის #6 გადაწყვეტილებით)